

ნანა კუცია<sup>1</sup>, მირანდა თოდუა<sup>2</sup>

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2022.20.07>

**აფხაზეთი პოეტურ ნარატივში**

**მარინე ტურავას პოეტური კრებული „სოხუმი-თბილისი“<sup>3</sup>**

*„შენს სახეს, ყვითელ ფოთოლზე  
დახატულს“..(ბ. ხარანაული)..*

**აბსტრაქტი.** კვლევის მიზანია შესწავლილ იქნეს ქართული პოსტმოდერნიზმის საინტერესო, დახვეწილი წარმომადგენლის - მარინე ტურავას პოეტური კრებულის - „სოხუმი - თბილისი“ ანტიციპაციური (წინასწარმეტყველებითი) შრე - ჯერ კიდევ სოხუმში დაწერილ ლექსთა მხატვრულ ნარატივში. წერილის ამოცანაა, გააზრებულ იქნეს ცალკეული ლექსებისა თუ მთელი კრებულის ერთიანი ანტიციპაციური ქსოვილი, მათალ პოეზიად ტრანსფორმირებული ღრმა პერსონალური ტკივილი. წერილში პედალირებულია, რომ სოხუმსა და თბილისს შორის მხოლოდ მანძილი კი არა, დროცაა. გაანალიზდა ტექსტთა ქრონოტოპი. საკითხის შესწავლის დროს გამოყენებული გვაქვს კომპარატივისტული და ტიპოლოგიური კვლევის მეთოდები ტექსტთა დასაჯგუფებლად, მთავარ, ძირითად საკითხთა გასაანალიზებლად.

<sup>1</sup> **ნანა კუცია**, ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

<sup>2</sup> **მირანდა თოდუა**, ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

<sup>3</sup> მოხსენება წარმოდგენილი იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, სოციალური მეცნიერებანი, კულტურის ძეგლები“, რომელიც აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა 2022 წლის 8-9 დეკემბერს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული დანიშნულება: მარინე ტურავას პოეზიის შესწავლას აუცილებლად მივიჩნევთ, რადგან ამ დახვეწილი, რაფინირებული პოეტის (ამავდროულად, შესანიშნავი მეცნიერის - ჟურნალ „ჩვენი მწერლობისა“ და „საგურამოს“ პრემიების ლაურეატი) შემოქმედების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია აფხაზეთის ომამდელი, ომისდროინდელი, ომისშემდგომი პოეტური რეფლექსია-რეცეფციების სრული/სრულყოფილი აღქმა. ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ანტიციპაციური რკალის კომპარატივისტული ანალიზი, პრაქტიკულ დანიშნულებას - პოსტმოდერნისტულ პოეზიაში ანტიციპაციური ნარატივის გააზრება, შესაძლოა საკითხის შეტანა სტუდენტთათვის პოსტმოდერნისტული ლიტერატურის სპეცურსში.

**საკვანძო სიტყვები:** მარინე ტურავა, პოსტმოდერნიზმი, ანტიციპაცია, ომი, დევნილი, სოხუმი, თბილისი.

**Nana Kutsia<sup>4</sup>, Miranda Todua<sup>5</sup>**  
*Sokhumi State University*

**Abkhazia in a poetic narrative  
Marine Turava`s Verse Collection „Sokhumi-Tbilisi“<sup>6</sup>**

**Abstract.** Goals and Aims: The aim of the article is to study anticipations of the verse-collection „Sokhumi-Tbilisi“ of the outstanding representative of Georgian Postmodernism Marine Turava – in the narrative, written in Sokhumi. The goal of the article is to analyze of definite verses and the verse-collection in whole, the personal pain, transformed into high-level poetry. We have underlined that among Sokhumi and Tbilisi there is not only the space, but the time as well. We will study chronotope of the verses.

**Methodology:** Depending on the aims and objectives of the thesis, we used several research methods – comparative and typological research methods to group the texts and to summarize the main, general and specific issues of the topic. Also, methods of observation, abstraction, analysis and synthesis are used.

---

<sup>4</sup> **Nana Kutsia**, Doctor of Philology, Associate Professor of Sokhumi State University.

<sup>5</sup> **Miranda Todua**, Doctor of Philology, Associate Professor of Sokhumi State University.

<sup>6</sup> The report was presented at the second international scientific conference "Cultural Values of Abkhazia: Language, Literature, History, Social Sciences, Cultural Monuments" organized by Sokhumi State University and the Korneli Kekelidze National Center for Manuscripts of Georgia, which was dedicated to the 100th anniversary of the birth of academician Mariam Lortkifanidze on 8-8-2022. on December 9.

Novelty and Practical Value: Marine Turava is an outstanding researcher as well (Literary Prizes „Saguramo“, „Chveni Mtserloba“). Without analysis of her poetry it will be impossible to understand of poetical reflections of war in Abkhazia. The novelty of the article is the presentation of the most versatile anticipative thematic kaleidoscope. The article may be included in higher education curriculums.

**Key Words:** Marine Turava, Postmodernism, Anticipation, War, Refugee, Sokhumi, Tbilisi.

*ძირითადი კვლევა.* მარინე ტურავა შემოდგომაზე, ოქტომბრის მიწურულს დაიბადა სოხუმში... ოქტომბერი პოეტებს ამღვრევს... საუკეთესობს დავიმოწმებთ: „ეს იყო ოქტომბრის დამღევს, როცა ყოველი დრუბელი ცაზე ვერსალსა ჰგავს...“ (გალაკტიონი). „ვცვლი უკანასკნელ სინანულზე ოქტომბრის დამღევს, მოღებულ სარკმელს, ორიონის ვეცხლოვან დარანს...“ (დავით წერეთლიანი). „თმების ფერი რად მოჰპარეთ ბუნებას და თვალების ფერი?“ - ეწერა ელა გოჩიაშვილის ერთ უმშვენიერეს ლექს-მიძღვნაში კრებულისა „მწუხრი მშვიდობისა.“

მარინეს თმისა და თვალის ფერიც სოხუმის შემოდგომისფერია, სულიც - ზღვაში „ჩამავალ მზეთა მელანქოლიით“ ნაქსოვი და გამთბარი.

კრებულს ვკითხულობთ, წერეთლიანი გვაგონდება: „მე სიხარული არ მჭირდება-ხელისგულზე მარჯანი მიღევს“... „მარჯანი“ „მალაქიტით“ იცვლება - „სოხუმი-თბილისი“ *მალაქიტისფერი წიგნია.*

სოხუმიც მალაქიტისფერი იყო და, ოდესღაც, ის ვაგონიც, გარეყდაზე - ახლა მკვდარი, მინებჩამსხვრეული, ჩახსნილი, არსაიდან არსაით მიმავალი, დრო-სივრცეში გაყინული, დაჟანგული.

ვაგონზე იგივე წარწერაა, რაც ყდაზე - მაგიური სიტყვები - „სოხუმი-თბილისი“ - მარინეს ძველი და ახალი მისამართ(ებ)ი (ასოციაცია - რობი მესხის ბრწყინვალე «Скорый поезд «Сухуми-Москва» - იმპერიის ლინგვა-ფრანკაში გამოლონდული ქართული „წყევლაკრულვიანი საკითხავი“) ...

პოეტები ხანდახან ჩვენი ცხოვრების სცენარსაც წერენ, მაგალითად, გალაკტიონი:

„ის დროება სიზმარივით წავიდა, ოდეს ბავშვი ვიყავ მოხეტიალე, რკინიგზები, სავსე სანახავითა, რონოდები - ცივი, ოხერ-ტიალი“...

გარეყდის რონოდაც „ცივია და ოხერ-ტიალი“ და მხოლოდ წარწერა ათბობს... კრებულში დიდი დარდია, ოდონდ - მაღალ პოეზიად ტრანსფორმირებული (ბალმონტი პოეზიის არსად თვლიდა „მწარე ყინულის გარდათქმას სიმღერად“ - «создать песню из горьких льдин...»). „დიდ გრძნობას დუმილი წარმოაჩენს მხოლოდ. დუმილიც არა - თავშეკავება“ (*მარიანა შური, „დუმილი“*) – თავშეკავება, როგორც კულტურის ნიშატი.

მარინე კულტურული პოეტია, ლექსის „სტრუქტურული ფიგურების“ არსი ძირისძირობამდე იცის - „საფოდან ვიდრე კასიამდე“, თუ, ზოგადად, მსოფლიო ლექსის. თეორიული ბაზისის უდრმესი ცოდნა ტექსტის „კარკასში“ სჭვივის (არაფერი ზედმეტი - „თავი და თავი აღნაგობა! სამკაული - მხოლოდ დეტალი“ - გრ. რობაქიძე).

„მშვენიერი სასოწარკვეთის“ (ლია სტურუა), არისტოკრატიული თავშეკავების კლასიკური ნიმუში კრებულის „თბილისური“ რკალიდან:

„ნუ გამაღვიძებ - ჩამტოვე ჩვენს წარსულში,  
სადაც სხვაგვარად ვგრძნობდით ყველაფერს,  
სხვანაირად ვილაგებდით და ვიწყობდით ცხოვრებას -  
გვექონდა დიდი სახლი, საყვარელი საქმე და ჭორფლიანი შვილები  
გვყავდა,  
გვიყვარდა სამყარო და მასაც ვუყვარდით...  
იქ, იმ წარსულის ლაბირინთში ჩამტოვე,  
ნუ დამირეკავ, ნუ დამაბრუნებ აწმყოში,  
სადაც ყველაფერი ერთი ბეწო ლექსის სტრიქონებმა უნდა  
ჩაანაცვლოს...“

აწმყოში, სადაც „მიტოვებული სახლების ბრაზით დაქანგული გასაღებები... ინახება ახლა...“.

ღუმელზე მეტად, განცდას, მართლაც, თავშეკავება წარმოაჩენს...

ათას რამეს წერენ ხოლმე დევნილ(ობა)ზე, ათასნაირად - თანაგრძნობით, პათეტიურად, გზნებით, სიბრაღულით, გულგრილად, გროტესკულადაც (რატომაც არა, გროტესკულადაც - ერთ ძალიან დიდ მწერალთან ასეთი ფრაზაც კია - პერსონაჟზე ამბობს, „ისე შევარდა წარმოსახულ მომავალში, როგორც დევნილი - სხვის ბინაშიო“, მერე კი, სულ რამდენიმე გვერდის შემდეგ, წერია, რომ იგივე პერსონაჟი, მწერალი - სტრიქონსაც ვერ დაწერს, თუ თავის (!) მაგიდას არ უზის თავისი (!) ფლოსტებითა და თავისი (!) ქიქით... სხვა მწერალი (დიდი არა) ჰყვება, რომ ვიდაცას ჩანთას გასტაცებენ, ლაზდანიდარა ბრბო მსჯელობს და ასკვნის, რომ გამტაცებელი „დევნილი იქნებოდა“ (აბა, სხვა ვინ?!)... დევნილის მარგინალიზაციის „მარგალიტებით“ სავსეა მწერლობა, მაგრამ „პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ“.

მარინე სტუდენტებს დანტეს ასწავლის - ფლორენციელი დევნილის შედევრს, სკნელებში მოგზაურობის ინიციაციურ ამბებს, „მარშრუტს“ ჯოჯოხეთიდან სამოთხისაკენ... იმასაც, ინფერნალურ სივრცეებში სამოთხე რომ უნდა მოინატრო... და რომ სამოთხე ნამდვილად არსებობს, თუმცა ჯოჯოხეთშია მთელი შენი ქვეყანა (განა მხოლოდ აფხაზეთი ან სამაჩაბლო?!)...

სოხუმიდან თბილისამდე მხოლოდ მანძილი კი არა, დროცაა („რამა-ლა არ არის ადგილი. ის დროაო“, წერს მურიდ ალ-ბარდუთი) - სოხუმში საცხოვრებელი და არნაცხოვრები დრო.

ათი „სოხუმური“ და ორმოცდათხუთმეტი „თბილისური“ ვერლიბრ-ვერბლანი დასტურია, რა ცოტა მოასწრო მარინემ სოხუმში... და რა ბევრი!

ერთხელ ვუთხარით, მხოლოდ ასპირანტურაში სასწავლებლად რატომ მოვაპურეთ ლიტერატურის ინსტიტუტსა (მარინემ) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ჩვენ), სტუდენტობაც აქ გაგვეტარებინა-თქო. საოცარი პასუხი გაგვცა, ის ხუთი წელიც რომ უსოხუმოდ ვყოფილიყავით, თავს ვერაფრით ვაპატიებდითო... როგორც ყოველთვის, მართალი იყო...

კრებულის სოხუმური რკალი ანტიციპაციურია, წინასწარმეტყველური. ათიოდე ლექსია, ოცდასამ წლამდე დაწერილი, პატარა გოგოსი (ჩვენი სტუდენტების ტოლია აქ მარინე), მაგრამ როგორი ნაღვლიანი (თან მზიანი) პალიტრაა - ოქტომბრისფერი.

სოხუმს თავისი მნატვრები ჰყავს, ერთი უკეთესთაგანი მარინეა...

ჯერაც სოხუმში მყოფი, თითქოს, წინათგრძნობს (რა მნიშვნელობა აქვს, ქალაქს მიმართავს თუ ...):

„პოლინიკესავით დაუმარხავიც რომ დავრჩე, ღვთის ბოძებულად  
ჩავთვლი ამასაც,  
დაუტირებელი ვიქნები შენ გამო  
და არა იმდენად შენ, რამდენადაც საკუთარ თავსვე დავარწმუნებ:  
თვით ჯოჯოხეთურ მარტოობასაც გადავიტან და ჩემს დავიწყებულ  
თვალებზე არ  
დავფიქრდები,  
ოღონდ კი შერჩეს მეხსიერებას  
მ უ ს ი კ ი ს ა და შ ე ნ ი  
ა რ და კ ა რ გ ვ ი ს  
წ ი ნ ა თ გ რ ძ ნ ო ბ ა“.

ქალაქი მუსიკაა („მუსიკა ქარში“) - ზღვის, ზღვისპირა სიოსი, მაგნოლიების ფოთლების ჩუმი შარიშურის (ეს მაგნოლიები „თბილისური რკალის“ პირველ ლექსში საბანს ახატია - წარსულში ჩასათბუნებლად), ზღვისპირა შეხვედრების თუ პაემნის მუსიკა... ამ სამოთხისეული შეგრძნებების „არდაკარგვის წინათგრძნობა“ რად უნდა ინატროს ოქროსთმიანმა, ცისფერთვალა, პატარა გოგომ?! თან - „ოღონდ კი შერჩეს მეხსიერებასო“...

„შერჩა მეხსიერებას“ და თითოეულ ტექსტში - „სოხუმურსა“ თუ „თბილისურში“ ამოილანდა...

„როგორც ტაძრის მოთქმას ფრესკად შეჰხიზნვია კაცი“, ქვეყნის მოთქმასაც ლექსად შეხიზნება პოეტი, ლექსს ისაღბუნებს - სიტყვა-ლოგოსს, რადგან „შაირობა პირველადვე... საღმრთო, საღმრთოდ გასაგონია“...

რამდენჯერ გვიფიქრია, საერთაშორისო „მოლაპარაკებებზე“ გაჩქარებულმა „მომლაპარაკებლებმა“ წაიღონ-თქო თან სასოწარკვეთის პოეტური რეფლექსიები და დანარჩენ სამყაროსა და, უპირველესად, სხვის ბუდეებში მოკალათებულ „გუგულებს“, წააკითხონ „უთვისო, დაობლებული სულის“ ამონაკვნესი... რა თქმა უნდა, ამაო გარჯაა, მაგრამ... ვის შეძრავს ეს სტრიქონები „იქ, სადაც სძულთ ჩვენთვის უცხო და გაუგებრად“?! (ეს სტრიქონიც ომამდელ სოხუმშია დაწერილი და ესეც ანტიციპაციურია).

ნეტავ, ირეკლება ქართველთაგან „გათავისუფლებული“ თანამედროვე სოხუმის პოეტურ ნარატივ(ებ)ში ოქტომბრისფერი - ოქროსფერი, ენდროსფერი, ჟღალი სოხუმი - ისეთი ლამაზი, თბილი, მყუდრო, როგორც მარინას „შემოდგომის ფრაგმენტებში“?!

„სოხუმი-თბილისი“ ტურისტის კი არა, მკვიდრის ჩანაწერებია, დაუვიწყარი ენიგმებით: „პოეზიად ქცეული სექტემბრის წვიმით“ („გამოვიდეს რომელიმე ვაჭარი და ამ წვიმის პოეზია უარყოს!“ - გალაკტიონი), „სიმწვანიდან სიყვითლეში მიცვლილი ქადრის ფოთლით“, ბუხრიდან ძველებურად ამომავალი „კვამლით ფერიცვალების“...

მკვიდრის ლექსიკიდანაა ზმნაც „კონტინიუსში“: „ყოველ სადამოს ზღვა შემოდგომის ზღაპარს უყვებოდა ჩამავალ მზეს...“ ეს „ყოველი სადამო“ ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა მარინეს თაობისათვის, მაგრამ მარინემ მზე შეინახა - სტრიქონში...

ჩვენს ერთ მეგობარს მასწავლებელი ამუნათებდა, გაკვეთილი რად არ ისწავლეო. პასუხი ახლაც გვახსოვს - ზღვაში ჩამავალ მზეს ვუყურებდი აივნიდანო. სოხუმის თითოეული აივნიდან ზღვაში ჩამავალი მზე ჩანდა...

„ზღვამ ჩაიგვა (გურამ რჩეულიძვილის) მტრედისფერი ჩოხა“ - პატარა სოხუმელი გოგოს - მარინეს აღქმით... ესეც „გურამის მაგიერ სათქმელი ლექსების“ (ესმა ონიანის რემინისცენციით) გაგრძელებაა... როცა ეს ზღვა და მზე გვენატრება (ანუ სულ), მარინეს წიგნშიც მოვიძიებთ...

ამ წიგნში ბევრი რკალია და ბევრი ენიგმა. თითო ლექსი თითო სამყაროა - კოსმოგონიური წესრიგით, მშვიდი ფერ(ებ)ით, ლამის იდეალური სალექსო სტრუქტურითა და აბსოლუტური თავშეკავებით გამორჩეული.

მარინე უფლის მხევალია, პროვიდენციის არსის მგზნებიც, იცის, რომ „ხელიგულზე ამოქარგულ ბედის ობობას ბოლომდის უნდა შეასვა სისხლი“...

გასხვისებული ქართული ქალაქის პოეტური ამონაკვნესია „სოხუმი-თბილისი“... ამ ქალაქზე სხვა ასე ვერ დაწერს. აქ არაა ყავის ჭიქის თუ „ამრას“

ხაჭაპურის დანახვისას ყალბი კურცხლის ღვარღვარი (თითქოს სოხუმი მხოლოდ „ამრას“ ხაჭაპური, „პინგვინის“ ყავა ან „პინგვინისავ“ ნაყინი იყო(!)), არც პლაჟის ალიაქოთისა და რუსულ-საბჭოური სიმღერების ნოსტალგია, რუსულად ნამღერი ქართულ ქალაქ(ებ)ზე...

იქნებ, სწორედ მარინეს (და ოდნავ უფროსი) თაობისა შეეშინდა ასე ძალიან მოყანყალბულ იმპერიას, რჩეულიშვილის „მტრედისფერი ჩოხის“ (ზღვას რომ „ეცვა“), ტურისტებად კი არა, სოხუმის დასაცავად ჩამოსული და მკვიდრი ბიჭებისა, რომელნიც იცავდნენ ქართულ სივრცეს, 1989 წლის 18 მარტის ლიხნის წერილით რომ რუსეთს „მიუბოძებდა“ არამკვიდრი (მკვიდრი მამულს არ გაასხვისებს!), 1992 წლის 23-24 ივლისის „დოკუმენტით“ კი „კონფედერაციის დედაქალაქად“ აცხადებდა?! ვის ქალაქს - ვინ...

ამბავთა ქრონოლოგია მხოლოდ ისტორიკოსებს როდი უნდა ახსოვდეთ..... პოეზია საუკეთესო მათიანეა.

საუკუნის პოეტურ მათიანეში წერია, რომ „შვილები არ არიან... არ არიან... ქარია...“ მაგრამ ქარში მუსიკაა და არ არის ვედრება „დამაბრუნეთ“... აქ განაცხადია: „მე აქ ვარ!“ - ამ ქარში ვარ, ამ მზეში, თუნდ ამ „ყოველთა კეთილთაგან განძარცულ ბებერ კვიპაროსში“, რომელსაც მხოლოდ მკვიდრი ხედავს და ლექსში (ანუ მარადისობაში) ამკვიდრებს, რადგან კვიპაროსიც მკვიდრია და ეს მხოლოდ მკვიდრმა იცის...

„გაორთქლილ შუშაზე ერთადერთ სიტყვას ვუწერ ალუბალს და კიდევ ერთი დღით ვუხანგრძლივებ სიცოცხლეს“ - ესეც თბილისამდელი მარინეს ერთი „ნამღლევათაგანია“ (პაოლო იაშვილისეული „ჟანრია“ - „ორი ნამღლევა“). მარინეს თითოეული ნამღლევა („შემოდგომის ფრაგმენტები“) იაპონურ ტანკასაც ჰგავს და აკვარელის ლიცლიცსაც დაიკრავს (როგორც აკვარელი „ითხოვს“ მინას, მარინეს ლექსებიც - ცრემლის ციგლიცს. უცრემლოდ ვერ წაიკითხავ).

„გაორთქლილ შუშაზე“ - ყოფიერების ჭირხლში - პოეტი ს ი ტ ყ ვ ა ს წერს..... კიდევ „ერთი დღით“ გვიხანგრძლივებს სიცოცხლეს, სანამ სხვა მალაქიტისფერ მატარებელს არ ეწერება სანუკვარი მისამართი - „თბილისი-სოხუმი“... *სოხუმი სექტემბრის დამღვეს გაასხვისეს... ოქტომბერი უკვე თბილისში იყო.....*

P.S. მარინეს მალაქიტისფერი წიგნის სხვა რკალ(ებ)ზე დიდებული კრიტიკოსები (როსტომ ჩხეიძე, ჰაატა ჩხეიძე, ინგა მილორავა, სოსო ჭუმბურიძე, ლია კუხიანიძე, სალომე წყაროზია...) წერენ... დიდებულად... *სოხუმზე უნდა დაგვეწერა, სოხუმზე, რომელიც ოქტომბერშიც (იანვარშიც კი!) მალაქიტისფერია - მარინეს წიგნივით...*